ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2019-95

ქ. თბილისი 25 დეკემბერი, 2019 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წარმოდგენილი მისი გამგებლის ოთარ ცოტნიაშვილის სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ ფიზ. პირი ნუგზარ ბერუაშვილი (ს. ნ. 59002005128) (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის ა) პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ,,ხელშეკრულება“) შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. მეტეხსა და სოფ. თელიანის დევნილთა დასახლებაში დაგეგმილი საახალწლო კულტურულ-გასართობი ღონისძიებების საორგანიზაციო ჯგუფის ტრანსპორტირება ქ. თბილისიდან კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. მეტეხში (2019 წლის 26 დეკემბერი) და სოფ. თელიანში(2019 წლის 28 დეკემბერი).

2.2 CPV კოდი 60170000 - სატრანსპორტო საშუალების დაქირავება მძღოლთან ერთად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **250.00 (ორას ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი)** ლარს, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5. მომსახურების გაწევის პირობები და ვადა

5.1 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს: 2019 წლის 26 დეკემბერს, შემდეგი მიმართულებებით: ქ. თბილისი-კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. მეტეხი - ქ. თბილისი, და 2019 წლის 28 დეკემბერს, შემდეგი მიმართულებებით: ქ. თბილისი - კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. თელიანი - ქ. თბილისი,

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტი

6.1 შეყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველსა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი - **ვლადიმერ ქრისტესიაშვილი.**

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

7.2 გადახდის ფორმა - უნაღდო.

7.3 ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ფასები

8.1 გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს და მისი შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაუშვებელია.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. პასუხისმგებლობა

11.1 მიმწოდებელი ვალდებულია 2019 წლის 26 დეკემბერს და 28 დეკემბერს განახორციელოს მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
11.2 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება ხელშეკრულების 12.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
13.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
13.5 ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

18. შეტყობინებები

18.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
18.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

21. სხვა პირობები

21.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
21.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
21.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.
21.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
21.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

22. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ერედვის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. N89/24
ს/კოდი 218065055
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა GE85KS0000000330300001
ბ/კოდი: AGREGE22

Tel: 595 33 94 00

Eredvi Municipality

Digitally signed by Eredvi Municipality
Date: 2019.12.25 14:48:11 +04'00'

ოთარ ცოტნიაშვილი

მუნიციპალიტეტის გამგებელი

მიმწოდებელი:

ფიზ. პირი: ნუგზარ ბერუაშვილი
მის: მცხეთის მუნიც, სოფ წეროვანი
პ/ნ: 59002005128
ს.ს. ლიბერთი ბანკი
ა/ა GE75LB711101719869840
ბ/კოდი: LBRTGE22

T. 5 99 48 59 17

ნუგზარ ბერუაშვილი

ფიზ. პირი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის

არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი **25 დეკემბერი 2019 წ.**

ჩვენ ქემოთ ხელის მომწერნი, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ერედვის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N2019-95 ხელშეკრულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ფიზ. პირი ნუგზარ ბერუაშვილისგან სატრანსპორტო მომსახურების **(CPV კოდი - 60170000)** შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

---------- **ოთარ ცოტნიაშვილი**

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების,
კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი:

---------- **ვლადიმერ ქრისტესიაშვილი**